22/10/2025

MES 1 25 0001391447

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - დაბა ხარაგაულის N2 საჯარო სკოლა:
ინგა ვეფხვაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლა:
ეკატერინე გახარია - სკოლის დირექტორი
სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა:
გურამ მარკოიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი სამგორის საჯარო სკოლა:
თეა წიკლაური - სკოლის დირექტორი
სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლა:
ნინო ხარატიშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლა:
ამირან მამულაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - დაბა ხარაგაულის N2 საჯარო სკოლა:
ა) მაგდა მიქაბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) სოფიო გაგოშიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნანა ავაზაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ)თამარ ცხადაია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გვანცა მოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა ნანობაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) დავით ხუციშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) დომინიკა აბაშიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლა:
ა) თეონა ყაჭეიშვილი (ზოგადიგანათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ აბაზაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ნინო თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ვარდო გოგილავა (უცხოურიენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) შოთა მაღლაკელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ვერა გუდაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა:
ა) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნათია ქოქუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) რუსუდანი არზიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო გულმაგარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიკო მჭედლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე მორჩილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარი ფალელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შორენა ნიკოლეიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან მეგრელიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი სამგორის საჯარო სკოლა:
ა) ელისო ლოლაშვილი - მერებაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ ჩხიკვაძე(საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გ) ელენე ოგბაიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლა:
ა) რუსუდან უსტიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თეონა ბუხიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ქეთევან სადრაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მანანა სეხნიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ელენე გაფრინდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ანგელინა ეფრემიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარი მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლა:
ა) ზაზა ჭანტურია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) სალომე მურღულია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე ვეკუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ფიქრია მუსერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ელენე გაფრინდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნათია გაგნიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან მეგრელიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 08 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - დაბა ხარაგაულის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ-ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი სამგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - დაბა ხარაგაულის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაგდა მიქაბერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - დაბა ხარაგაულის N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 24 და 25 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 240. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 240 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, მაგდა მიქაბერიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და
მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. აქვე, ექსპერტმა, მაგდა მიქაბერიძემ, აღნიშნა, რომ ინდიკატორი 2.2.2.3-სთან მიმართებით დასკვნაში იყო ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადად მითითებული იყო 23.07.2025 – 23.07.2027, ნაცვლად 23.07.2025 – 23.07.2026 -სა.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას, ასევე, თანამშრომლობდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, კოლეჯთან „იბერია“, შპს სეუსთან. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა გამოცემა, რომლის ფარგლებშიც გამოიცემოდა

გაზეთი „მნათობიერი“, მოსწავლეებისათვის უსასყიდლოდ შეთავაზებული იყო გახანგრძლივებული სწავლება. მისი თქმით სკოლაში ფუნქციონირებდა მრავალფეროვანი კლუბები, მათ შორის „ჩვენ ვართ მკითხველები და არა გადამკითხველები“, „ეძიე სიმართლე შენი“, გერმანული ენის კლუბი „დას ისტ ეინ ლანდ“, „აქტიური მოქალაქე“ და სხვა.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო, სკოლას ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული გარემოებიდან გამომდინარე, დაინტერესდა რა იგულისხმებოდა გარე სპორტული მოედნის მოწყობაში.
ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა გარე სპორტული მოედანი, თუმცა არ ჰქონდა ხელოვნური საფარი და საჭიროებდაა კეთილმოწყობას.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო სკოლის დამოკიდებულება გახანგრძლივებულ სწავლებასთან მიმართებით და დაინტერესდა, როგორ უზრუნველყოფდა სკოლა უსასყიდლოდ გახანგრძლივებული სწავლების შეთავაზებას.
სკოლის დირექტორის, ინგა ვეფხვაძის თქმით, გახანგრძლივებული სწავლების პედაგოგები დასაქმებული იყვნენ სოციალური პროგრამის ფარგლებში.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის მისიაში მითითებული იყო უცხო საგნების გაღრმავებული სწავლება და დაინტერესდა, რა იგულისხმებოდა აღნიშნულში.
სკოლის დირექტორის თქმით, სკოლის პრიორიტეტს წარმოადგენდა უცხო ენების სწავლება, ფუნქციონირებდა უცხო ენების კლუბები და მოსწავლეებს შეეძლოთ მათში გაწევრიანება.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია დაინტერესდა, რატომ იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შემაჯამებელი გაკვეთილები მხოლოდ ტესტური სახით.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შემაჯამებელი დავალებები არ იყო მხოლოდ ტესტური სახით, მისი ვარაუდით, წარმოდგენილი მასალები შეიძლება არ ყოფილიყო სრულყოფილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დაბა ხარაგაულის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:56
დასრულების დრო - 15:02

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის

პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - დაბა ხარაგაულის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 243571014) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქუჩა N57.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქუჩა N57.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქუჩა N57.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2027 წლის ოქტომბერში, დახურული სპორტული მოედნის მოწყობის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში ამწოვისა და ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდების განთავსების, სკოლის ეზოს ღობის განახლების, სააქტო დარბაზის მოწყობის, სკოლის მეორე სართულის ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ-ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 03 და 04 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1450. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1450 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)

და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, აქვე განმარტა, რომ სკოლის შენობის უკან იყო კლდე და სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს კლდის ქვათაცვენის აცილება.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება იყო ახლადრეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ნონა ჩუბინიძე დაინტერესდა ქვათაცვენის თავიდან არიდებისთვის რას აპირებდა სკოლა.

სკოლის დირექტორის, ეკატერინე გახარიას თქმით, სკოლას ძირითადად ჰქონდა ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც სკოლას საკუთარი სახსრებით არ შეეძლო, მისი თქმით კლდეზე სპეციალური დამცავი ბადის მოწყობისთვის მიმართული ჰქონდა ქალაქ თბილისის მერიისთვის და მიღებული პასუხის თანახმად, აღნიშნული პრობლემა მოგვარდებოდა 2026 წლის იანვრის თვეში, ასევე, იმ ტერიტორიაზე, სადაც ხდებოდა ქვათაცვენა, მიმდინარეობდა უსაფრთხოების გამკაცრებული მონიტორინგი და მოსწავლეების იქ გადაადგილება შეუძლებელი იყო.

საბჭოს მდივანმა, ნინო ბერიკაშვილმა, აღნიშნა, რომ მე-2 სტანდარტთან მიმართებით ექსპერტებს გაცემული ჰქონდათ კვალიფიციური რჩევები და დაინტერესდა, რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ აღნიშნულის გათვალისწინებისთვის.

სკოლის დირექტორის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიღებისთანავე შეიკრიბნენ კათედრების წარმომადგენლები და გაითვალისწინეს ყველა რჩევა.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო ბიბლიოთეკის ინვენტარიზაცია.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ბიბლიოთეკის ინვენტარი, თუმცა მთავარ პრობლემას წარმოადგენდა წიგნების ჩამოწერა, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას მიმდინარე პერიოდისთვის ჩამოსაწერი ლიტერატურისთვის საკმარისი ადამიანური რესურსი არ ჰყავდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1450-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:28
დასრულების დრო - 15:33

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ-ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლას (ს/კ: 203850733) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1450-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქ თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა №5.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქ თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა №5.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქ თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა №5.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2027 წლის ოქტომბერში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის, სკოლის შენობის უკანა პერიმეტრზე საფრთხის აცილების უზრუნველყოფის (ქვათაცვენა) პირველ სართულზე მიმდინარე დანესტიანების პროცესის შესაჩერებელი სამუშაოების წარმართვის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების და ექიმის კაბინეტში სამედიცინო შირმის განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 15 და 16 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ირინა დვალმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო მასწავლებლების ვაკანსიის გამოცხადებასთან დაკავშირებით და რამდენი პედაგოგი ჰყავდა სკოლას.
სკოლის დირექტორის გურამ მარკოიძის თქმით, კომპიუტერულ მეცნიერებებს ასწავლიდა კვალიფიციური მასწავლებელი, ხოლო სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის

მასწავლებლის პოზიციაზე გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსია. მისი თქმით სკოლაში ასწავლიდა 16 მასწავლებელი. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ რუსული ენის მასწავლებელი ასევე ასწავლიდა მუსიკასაც, ვინაიდან დასრულებული ჰქონდა კონსერვატორია.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რა ტიპის ხელშეკრულება იდებოდა აღნიშნულ მასწავლებელთან და ასევე, რა ვითარება იყო წიგნების საბიბლიოთეკო წესით დამუშავებასთან მიმართებით.
სკოლის დირექტორის თქმით, აღნიშნულ მასწავლებელთან იდებოდა ხელშეკრულება რუსული ენის მასწავლებლის პოზიციაზე, ხოლო შიდა გადანაწილებით ამატებდნენ მუსიკის საათებს. ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკარმა გაიარა გადამზადების კურსები და გაითვალისწინებდნენ ყველა რჩევას.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ შესაბამისობის გეგმით გაწერილი ვადები გარკვეულ შემთხვევაში დამდგარი იყო და დაინტერესდა ამ ეტაპისთვის რა ჰქონდა სკოლას შესრულებული, ასევე, მიმართა საგნობრივ ექსპერტებს კურიკულუმებთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნოთ საბჭოსთვის.
სკოლის დირექტორმა, გურამ მარკოიძემ, აღნიშნა, რომ დაადგინეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ეტაპობრივად ითვალისწინებდნენ ყველა რჩევასა და რეკომენდაციას.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, ნინო გულმაგარაშვილმა, აღნიშნა, რომ პირველად ეტაპზე არ იყო წარმოდგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები, თუმცა, გასაუბრების დროს დადგინდა, რომ რეალურად სკოლას ჰქონდა აღნიშნული კურიკულუმები და მოგვიანებით წარმოადგინეს გამოსწორებული დოკუმენტაცია.
ესთეტიკური აღზრდის ექსპერტმა, მარიკა ბოცვაძემ, ასევე აღნიშნა, რომ კურიკულუმებში ნამდვილად იყო ხარვეზები, თუმცა ვიზიტის დროს გადმოგზავნილი იყო მეტ-ნაკლებად გამოსწორებული დოკუმენტაცია.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, მასწავლებლებთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრისთვის ხომ არ ჰქონდა სკოლას მიმართული მასწავლებლის სახლისთვის.
სკოლის დირექტორმა, გურამ მარკოიძემ, აღნიშნა, რომ მიმართული ჰქონდათ „ასწავლე საქართველოსთვის“ და „აჭარის მომავალი წარმატებისთვის“ პროგრამის ფარგლებში სკოლაში ასწავლიდნენ მასწავლებლები.
საბჭოს მდივანმა, ნინო ბერიკაშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით მიემართა მასწავლებლის სახლისთვის და აღმოეფხვრა მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებელთან დაკავშირებული საკითხები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:51
დასრულების დრო - 15:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლას (ს/კ: 248053680) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი აგარა.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი აგარა.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი აგარა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის ოქტომბრიდან;

მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;

მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ოქტომბერში, თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, მანდატურის სამსახურის მიერ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გადამზადების, ბიბლიოთეკაში არსებული რესურსის საბიბლიოთეკო პრინციპით დამუშავებისა და საინვენტარო წიგნის შექმნის, ხოლო 2027 წლის ოქტომბერში სკოლის შენობის ადაპტირების (შესასვლელსა და სართულებს შორის გადაადგილებისთვის პანდუსის მოწყობის) და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან

შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი სამგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი სამგორის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 29 და 30 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 350. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 350 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებისათვის საჭირო რესურსი.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შენობა - ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
სკოლის დირექტორმა, თეა წიკლაურმა, აღნიშნა, რომ მიღებული ჰქონდათ შენობა - ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, ხოლო საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვებისთვის გადადგმული ჰქონდათ გარკვეული ნაბიჯები და უახლოეს მომავალში ექნებოდათ აღნიშნულიც.
საბჭოს მდივანი ნინო ბერიკაშვილი დიანტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას ექიმი.
სკოლის დირექტორის თქმით, ექიმის აყვანისთვის მუდმივად აცხადებდნენ ვაკანსიებს, თუმცა არ იყვნენ დაინტერესებული პირები და ეს საკითხი სკოლისთვის წარმოადგენდა გამოწვევას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ -გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი სამგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:12
დასრულების დრო - 16:18

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ -გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი სამგორის საჯარო სკოლას (ს/კ: 226530297) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალი სამგორი, აკაკი წერეთლის ქუჩა N2.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალი სამგორი, აკაკი წერეთლის ქუჩა N2.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალი სამგორი, აკაკი წერეთლის ქუჩა N2.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის ნოემბერში შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, 2026 წლის ოქტომბერში საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმისა და ექიმის კადრის აყვანის მტკიცებულებების, ხოლო 2027 წლის ოქტომბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, რუსუდან უსტიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 28 და 29 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 250. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 250 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, რუსუდან უსტიაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა, მისი თქმით, სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომლის თანახმადაც სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა შეუსაბამო იყო სეისმომედეგი მშენებლობის ნორმებთან, თუმცა აღნიშნულ დასკვნაში არ იყო ნახსენები შესაძლებელი იყო თუ არა შენობის უსაფრთხო ექსპლუატაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა კურიკულუმებთან დაკავშირებული რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის რა ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული სკოლას. აქვე, საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, მიმართა ტექნოლოგიების საგნობრივ ექსპერტს გაცემულ რჩევებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნო საბჭოსთვის.
სკოლის დირექტორმა, ნინო ხარატიშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევები და რეკომენდაციები სკოლისთვის იყო ღირებული და დაწყებული ჰქონდათ მუშაობა მათი გათვალისწინებისათვის.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დაინტერესდა, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნაში ასახული გარემოებების გამოსწორებისთვის რა ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული სკოლას.
სკოლის დირექტორმა, ნინო ხარატიშვილმა, აღნიშნა, რომ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსთვის მიმართული ჰქონდათ კითხვით, რომ განესაზღვრათ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოება, თუმცა აღნიშნულზე პასუხი არ მიუღიათ. დასკვნაში ასახული იყო მხოლოდ ის ფაქტი, რომ შენობა არ იყო სეისმომედეგი. მისი თქმით, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ჰქონდათ ორი წელი, თუმცა, ძალისხმევას არ დაიშურებდნენ აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის, მიმართული ჰქონდათ პასუხისმგებელი ორგანოსთვის და გადადგავდნენ ქმედით ნაბიჯებს.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა ექსპერტიზის ბიუროსგან მიღებული ჰქონდეთ წერილი თუ რამდენად უსაფრთხო იქნებოდა მოსწავლეების შენობაში ყოფნა.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, რამდენი მოსწავლე ჰყავდა სკოლას.
სკოლის დირექტორის თქმით, სკოლაში სწავლობდა 129 მოსწავლე.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ 2010 წლამდე აშენებული არც ერთი შენობა არ შეესაბამებოდა თანამედროვე სეისმოლოგიურ მოთხოვნებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:31
დასრულების დრო - 16:36

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლას (ს/კ: 227752633) 9 წლის ვადით მიენიჭოს

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი ჯიმითი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი ჯიმითი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი ჯიმითი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა, რომელშიც ცალსახად ასახული იქნება შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციის საკითხი; 2027 წლის ოქტომბერში კი შენობის ადაპტირების დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი

განხორციელდა 2025 წლის 10 და 11 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 50. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 50 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.
ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ, აღნიშნა, რომ სკოლაში სწავლობდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ერთი მოსწავლე.
სკოლის დირექტორის, ამირან მამულაძის თქმით, აღნიშნულ მოსწავლეს ჰქონდა დასკვნა, თუმცა მშობლის მოთხოვნით, უნდა მომხდარიყო დასკვნის გადაფასება.
საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, რამდენი სერტიფიცირებული მასწავლებელი ჰყავდა სკოლას.
სკოლის დირექტორის თქმით სკოლაში ასწავლიდა რვა მასწავლებელი, აქედან ხუთი სერტიფიცირებული. აქვე დასძინა, რომ დაწესებულება მდებარეობდა მაღალმთიან რეგიონში და კვალიფიციური კადრის შერჩევა წარმოადგენდა სირთულეს.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი დაინტერესდა, მიმართული ჰქონდათ თუ არა მასწავლებლის სახლისთვის დისტანციური სწავლების მიზნით.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დისტანციური სწავლება იქნებოდა ასევე რთული, ვინაიდან რეგიონში იყო ინტერნეტის პრობლემა.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, მიღებული ჰქონდა თუ არა სკოლას შენობის მიღება-ჩაბარების აქტი.
სკოლის დირექტორის თქმით შენობის მიღება-ჩაბარების აქტის მიღებისთვის მიმართული ჰქონდა პასუხისმგებელი ორგანოსთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:49
დასრულების დრო - 16:52

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლას (ს/კ: 248053920) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი კალოთა, პირველი ქუჩა N2.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი კალოთა, პირველი ქუჩა N2.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი კალოთა, პირველი ქუჩა N2.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და დასაქმებულთა სამუშაოს აღმწერი დოკუმენტის შემუშავების, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგის დამტკიცების, 2026 წლის დეკემბერში საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალის წარმოების, შენობის მიღება-ჩაბარების აქტის, რესურს ოთახის მოწყობის, ისგ-ის ჯგუფის შექმნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების წარმოების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 16:55 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე